www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

2022 წლის იანვარი - ივნისი

29.07.2022
www.geostat.ge

29.07.2022

ინფორმაცია მშენებლობაზე[1] გაცემული ნებართვებისა
და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ
2022 წლის იანვარი - ივნისი

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2022 წლის იანვარ-ივნისში გაცემულია 5 086 ნებართვა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.6 პროცენტით მეტი) 3 187.8 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.9 პროცენტით მეტი). ნებართვების 77.3 პროცენტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 52.1 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 10.7 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, 7.9 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე, 6.6 პროცენტი - იმერეთის რეგიონზე.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვების პროცენტული
განაწილება რეგიონების მიხედვით,
2022 წლის იანვარი - ივნისი



აღსანიშნავია, რომ 2022 წლის იანვარ-ივნისში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სავაჭრო ობიექტების, სასტუმროების, სამრეწველო საწარმოების,

[1] იგულისხმება როგორც ახალი მშენებლობა, აგრეთვე რეკონსტრუქცია

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები.

2022 წლის იანვარ-ივნისში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 1 246.5 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 52.3 პროცენტით მეტი) 1 168 ობიექტი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.5 პროცენტით მეტი).

დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 3 რეგიონზე. კერძოდ, 39.4 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 12.7 პროცენტი - კახეთის რეგიონზე, 10.1 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით,
2022 წლის იანვარი - ივნისი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
ალექსანდრე არაბული ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge